ხელშეკრულება №154
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 30 დეკემბერი 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო** (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის, მერის მ/შ **არჩილ ჩიქოვანის** სახით და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. „I GPS ოპერატორი"** (შემდგომში – „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ზურაბ ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების გადაადგილების GPS ტექნოლოგიით მონიტორინგის მომსახურება, (CPV63700000-სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებები) („მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" **11 (თერთმეტი)** GPS მოწყობილობის (შემდგომში – „მოწყობილობა") მონტაჟი და პროგრამული უზრუნველყოფა, ამ მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობა, რაც გულისხმობს გადაადგილების მონიტორინგის (შემდგომში – „მონიტორინგის") განხორციელებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით (შემდგომში „მომსახურება")).

1.2. GPS მოწყობილობები წარმოადგენს "მიმწოდებლის" საკუთრებას და "შემსყიდველს" გადაეცემა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

2.1.1. დააინსტალიროს მოწყობილობები „მიმწოდებლის" კუთვნილ ტექნიკაზე მათი ფაქტობრივი მდებარეობის მიხედვით;

2.1.2. „შემსყიდველი"-ს მოთხოვნისთანავე საკუთარი ძალებითა და სახსრებით აღმოფხვრას მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა დეფექტი, ნაკლოვანება, ხარვეზი და ხელშეკრულების პირობებთან სხვა შეუსაბამობა „შემსყიდველის" შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში დაამონტაჟოს GPS მოწყობილობები „შემსყიდველი"-ს მიერ წარმოდგენილ ტექნიკაზე, დააინსტალიროს სათანადო პროგრამა და უზრუნველყოს მისი ტესტურ რეჟიმში გამოცდა;

2.1.4. უზრუნველყოს GPS მონიტორინგის სისტემის (2.1.8) (შემდგომში „სისტემა") გამართული მუშაობის დაწყება, რისთვისაც „მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს „შემსყიდველს" საიტის მისამართი, პირველადი საიდენტიფიკაციო სახელები და, ასევე, უზრუნველყოს შესაბამისი სერვერის შეუფერხებელი მუშაობა;

2.1.5. „შემსყიდველის" წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე დაარეგისტრიროს იგი როგორც მომხმარებელი „შემსყიდველის" მიერ ტექნიკაზე დაინსტალირებული მოწყობილობების სისტემურ რეჟიმში მუშაობის კონტროლის მიზნით;

2.1.6. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დალუქული კონვერტით გადასცეს „შესყიდველს" მომხმარებლის პირველადი საიდენტიფიკაციო სახელი და პაროლი, ასევე ჩაუტაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესის შესახებ, პროგრამის სრულყოფილად მოხმარებაზე;

2.1.7. უზრუნველყოს დამონტაჟებულ მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფა, განახორციელოს ამ პროგრამის ტესტურ რეჟიმში გამოცდა;

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

2.1.8. უზრუნველყოს პროგრამის, სერვერის და საიტის შეუფერხებელი მუშაობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში;
2.10. უზრუნველყოს „შესყიდველი“-ს უწყვეტი და ხარისხიანი მომსახურებით.
2.11. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად, ჯეროვნად და ხარისხიანად.

2.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

2.2.1. ხელშეკრულებით დადგენილი ვადებში მიიღოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების 4.3.-4.4 პუნქტების შესაბამისად.

2.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

2.3.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;
2.3.2. საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ცვლილების თაობაზე;
2.3.3. უზრუნველყოს ტექნიკის ელექტროსისტემის ტექნიკური გამართულობა.

2.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

2.4.1. უზრუნველყოს მომსახურების მიღება.
2.4.2. ნებისმიერი დეფექტის, ნაკლოვანების, ხარვეზის და ხელშეკრულების პირობებთან სხვა შეუსაბამობის აღმოჩენისას მოითხოვოს მისი აღმოფხვრა ან/და გამოსწორება „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების 2.1.2. ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. მომსახურების განხორციელების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სისტემის მუშაობის პრინციპია „შემსყიდველი“ მიერ მისი ავტომანქანების მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება დამონტაჟებული მოწყობილობით „ონლაინ“ რეჟიმში, ასევე ამგვარი ტექნიკის გადაადგილების ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღება.

3.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს:

3.2.1. სისტემის გამართული მუშაობა, რაც „შემსყიდველს“ შესაძლებლობას მისცემს აღმოაჩინოს ტექნიკა.
3.2.2. თითოეული ერთეული ტექნიკის მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში განვლილი მანძილის, სიჩქარის, გაჩერების, დგომის დროის, მარშრუტის შესახებ ინფორმაციის სერვერზე განთავსება;
3.2.3. თუ დაწესებულია სიჩქარის შეზღუდვა, მოძრაობის ზონირება – მიაწოდოს „შესმყიდველს“ ინფორმაცია ამ პარამეტრების დარღვევის თაობაზე, პარკის მონიტორინგი პირდაპირ ეთერში – ერთი ან რამოდენიმე ერთეული ტექნიკის ადგილმდებარება მოცემული მომენტისათვის;
3.2.4. ტექნიკის მონიტორინგი, სპეციალური კოდით ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ადგილიდან;
3.2.5. სერვერზე ავტომანქანების ისტორიის განთავსება განვლილი მანძილის, დგომის და მოძრაობის დროის, სიჩქარის და ა. შ. შესახებ;
3.2.6. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეინახოს და „შემსყიდველისათვის“ ხელმისაწვდომი გახადოს „შემსყიდველის“ ტექნიკაზე არსებული ყველა ზემოხსენებული ინფორმაცია არა ნაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვისა. ინფორმაციის უფრო მეტი ვადით შენახვაზე „შემსყიდველმა“ უნდა აცნობოს „მიმწოდებელს“ ამის თაობაზე ინფორმაციის შენახვის ვადის გასვლამდე 2 (ორი) თვით ადრე. ინფორმაციასთან „შემსყიდველს“ წვდომა ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, სერვერის საშუალებით.
3.4. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის და „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების 2.1.7. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ იწყება სააბონენტო მომსახურების გადახდის ვადის ათვლა.
3.5. „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მესამე პირის (GSM ოპერატორი, ინტერნეტ პროვაიდერი) მიზეზით შესაძლებელია „შემსყიდველს“ ვებ-პროგრამაზე დაშვების შეზღუდვა თვეში მაქსიმუმ 20 (ოცი) საათი. ასეთ შემთხვევაში „მიმწოდებელი“ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშწორების წესი და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1716,00** (ერთიათას შვიდას თექვსმეტი) ლარს.
4.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების (დამონტაჟებული GPS მოწყობილობის), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.
4.5. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, მოწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარეის აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - **ვახტანგ ქათამაძე**.

5. მომსახურების ვადა, ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

5.1. მომსახურების ვადა 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2022 წლის 10 თებერვლამდე.
5.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:
- მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;
- მხარეთა მიერ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისას;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება ხელშეკრულების 5.4. პუნქტში მითითებული შეტყობინების ვადის დაცვის გარეშე. ამასთან, „შესმყიდველს“ უფლება აქვს არ გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეუსრულებული/არასათანადოდ შესრულებელი მომსახურების ღირებულება, ასევე მოსთხოვოს ზიანის/ზარალის სრული ანაზღაურება, რომელიც „შემსყიდველს“ მიადგა „მიმწოდებლის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებით.
5.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ამავე დროს, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი გარემოებებით, როგორიცაა საგანგებო და არსებულ პირობებში გადაულახავი გარემოებები, ასევე: ხანძარი, გაფიცვა და სხვა სოციალური ხასიათის მოვლენები, ასევე სახელისუფლებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.
6.2. დაუძლეველი ძალის დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, აგრეთვე აცნობოს თავისი მოვალეობების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.

7. პასუხისმგებლობა

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მეორე მხარეს მიადგა ზიანი/ზარალი, არადამრღვევი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი/ზარალი.
7.3. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია ყოველ კალენდარულ დღეზე გადაუხადოს შესმყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების სრული ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
7.4. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი პრიმა პუნქტის შესაბამისად.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. „ტექნიკის" რეალიზაციის ან გაჩერების შემთხვევაში „შესმსყიდველი" ვალდებულია წინასწარ, წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს" ზემოაღნიშნულის ქმედების შესახებ. წერილში სავალდებულია მიეთითოს „ტექნიკის" საინდენტიფიკაციო მონაცემები და გაჩერების სავარაუდო დრო. „ტექნიკის" რეალიზაციის შემთხვევაში „მიმწოდებელი" წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ახდენს „მოწყობილობის" დემონტაჟს.
9.2. ამ შემთხვევაში ჩერდება 4.2. მუხლით გათვალისწინებული გადასახადის გადახდა იმ ერთეული ტექნიკის მიმართ, რომლის მუშაობა – გადაადგილება შეჩერებულია ერთ თვეზე მეტი ხნით ან „შემსყიდველის" მიერ განხორციელდა მისი რეალიზაცია.
9.3. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიტანება დამატებითი შეთანხმების დადების გზით, რომელიც გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ასეთი შეთანხმებები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.4. ხელშეკრულების პირობები და ასევე ერთი მხარის მიერ მეორისაგან მიღებული მომსახურებასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და მისი გახმაურება არ დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე, როგორც ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე მისი მოქმედების გასვლიდან 3 (სამი) წელი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.
9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

10. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ს/კ 245576826; ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა ბ/კ: TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022 **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი,** **მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანი**	**შ.პ.ს. „I GPS ოპერატორი”** ს/კ 404920289 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 29/31/33 ტელ: 599 333 208 255 56 56 ტელ/ფაქსი: (995 32)935656 **ს.ს. "თიბისი ბანკი”** **ანგ.N GE16TB7050436080100002** **კოდი TBCBGE22** დირექტორი **ზურაბ ნოზაძე** I GPS OPERATOR LTD Digitally signed by I GPS OPERATOR LTD Date: 2020.12.30 14:15:58 +04'00'

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა თვეში (ლარი)	თვეების რაოდენობა	საერთო ფასი (ლარი)
1	ავტომანქანებზე GPS მოწყობილობის მონტაჟი და პროგრამული უზრუნველყოფა	ცალი	11	13	143	12	1716,00

N	ავტომანქანის მარკა, მოდელი	სახ. ნომერი
1	TOYOTA Corolla	DV 828 DV
2	TOYOTA Corolla	DV 814 DV
3	TOYOTA Corolla	DV 815 DV
4	TOYOTA Corolla	DV 829 DV
5	TOYOTA Corolla	DV 781 DV
6	TOYOTA Corolla	DV 848 DV
7	MERCEDES BENZ C180	DV 873 DV
8	KIA Cerato	DV 785 DV
9	MITSUBISHI Montero sport	SS 826 MM
10	MITSUBISHI L 200	XV 936 VX
11	FORD Escape	XX 920 GG

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)